

შპს ხედი

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	9
მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	12
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	13
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	13
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	13
3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკა	14
3.1 შეფასებები და მსჯელობები საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....	21
4. ფული და ფულის ეკვივალენტი	22
5. ძირითადი საშუალებები.....	23
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
8. ამონაგები.....	24
9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	25
10. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები.....	25
11. დაკავშირებული მხარეები	25
12. ფინანსური ინსტრუმენტები	26
13. ლიკვიდურობის რისკი.....	26
14. საკრედიტო რისკი	27
15. სავალუტო რისკი.....	27
16. სასამართლო დავები.....	28
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	28

შპს ხედი

ხელმძღვანელობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ხედი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას სასტუმროს და სარესტორნო მომსახურების გაწევა წარმოადგენს

დირექტორთა მოსაზრება

დირექტორთა მოსაზრებით,

(ა) კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ისე, რომ სამართლიანად წარმოაჩინოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები, კაპიტალის ცვლილებები და ფულადი ნაკადები ამ თარიღით დასრულებული წლისთვის; და

(ბ) ამ განცხადების თარიღისთვის არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ კომპანია შეძლებს თავისი ვალების დაფარვას მათი ვადის დადგომისას.

დამფუძნებლები მათი წილობრივი მონაწილეობა

კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა შემდეგია

დამფუძნებელი	რეზიდენტობა	% წილი
სს სვეტლიცა	რუსეთის ფედერაცია	70%
ელენე ნიჟარაძე	საქართველო	30 %

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ პერიოდში მოხდა შემდეგი მოვლენები:

- ა) ელენე ნიჟარაძემ გაყიდა მისი კუთვნილი წილი
- ბ) დამფუძნებელმა შეამცირა შპს ხედის საწესდებო კაპიტალი

დირექტორები

აღნიშნული რეპორტის თარიღისათვის კომპანიის დირექტორია:

თამაზ ტოგონიძე

თარიღი :

აუდიტორი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია შპს აუდიტ-არტის მიერ.

შპს ხედი

ხელმძღვანელობის ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ხედი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას სასტუმროს და სარესტორნო მომსახურების გაწევა წარმოადგენს

დირექტორთა მოსაზრება

დირექტორთა მოსაზრებით,

(ა) კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ისე, რომ სამართლიანად წარმოაჩინოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები, კაპიტალის ცვლილებები და ფულადი ნაკადები ამ თარიღით დასრულებული წლისთვის; და

(ბ) ამ განცხადების თარიღისთვის არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ კომპანია შეძლებს თავისი ვალების დაფარვას მათი ვადის დადგომისას.

დამფუძნებლები მათი წილობრივი მონაწილეობა

კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა შემდეგია

დამფუძნებელი	რეზიდენტობა	% წილი
სს სვეტიცა	რუსეთის ფედერაცია	70%
ელენე ნიჟარაძე	საქართველო	30 %

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ პერიოდში მოხდა შემდეგი მოვლენები:

ა) ელენე ნიჟარაძემ გაყიდა მისი კუთვნილი წილი

ბ) დამფუძნებელმა შეამცირა შპს ხედის საწესდებო კაპიტალი

დირექტორები

აღნიშნული რეპორტის თარიღისათვის კომპანიის დირექტორია:

თამაზ ტოგონიძე





თარიღი : 01.10.2025

აუდიტორი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია შპს აუდიტ-არტის მიერ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ხელი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ხელი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში აღწერილი განმარტებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულებულია მოცემული თარიღით და შესაბამეა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (მსს ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

სასაქონლო მატერიალური მარაგები

ჩვენ ვერ დავსწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშნის თარიღს. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 263,651 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის ნაწილი გენერირდება რესტორნის შემოსავლებიდან, რომლის თვითღირებულების შემადგენელი ელემენტების თანხობრივი და რაოდენობრივი დადასტურება სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე ვერ შევძელით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ აბზაცში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA) შესაბამისად და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები და ასევე ჩვენი ქმედებები შესაბამისობაშია IESBA კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი, რომელიც მოცემულია ფინანსური ანგარიშგებაში განსაზღვრულია საწარმოს წესდებით და შესაბამისი ჩანაწერებით საჯარო რეესტრში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი არ იყო შევსებული სრულად, ამასთან 2025 წელს კომპანიის დამფუძნებლის მიერ შევსებული წილის შესაბამისი თანხით შემცირებულ იქნა საწესდებო კაპიტალი.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია წინამორბედი აუდიტორის მიერ და მოსაზრებაზე გამოთქმულია უარი.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს. ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- არის შესაბამისობაში ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის შექმნაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ; გასცეს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი პრინციპი მანამ, სანამ კომპანიის ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოდ მოცემული ქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში გვვალდება ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო და კომპანია იძულებული გახდეს შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა

ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

ზურაბ ართმელაძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-740294)

შპს „აუდიტ-არტი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-569576)

2025 წლის 1 ოქტომბერი

ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

ზურაბ ართმელაძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-740294)

შპს „აუდიტ-არტი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-569576)

2025 წლის 1 ოქტომბერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	36 105 996	54 378 974
სხვა არამატერიალური აქტივები		78 255	74 255
გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ		-	29 515 010
სულ გრძელვადიანი აქტივები		36 184 251	83 968 239
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		263 651	654 940
მოკლევადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ		122 799	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	53 461	53 881
ფული და ფულის ექვივალენტები	4	3 505 246	224 824
სულ მიმდინარე აქტივები		3 945 157	933 645
სულ აქტივები		40 129 408	84 901 884
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		107 920 390	97 402 877
საწესდებო კაპიტალის შეუვსებელი წილი		(33 549 718)	
დაუფარავი ზარალი		(34 837 471)	(13 058 197)
სულ კაპიტალი		39 533 201	84 344 680
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	478 962	456 347
საგადასახადო ვალდებულებები		89 288	72 964
სესხები		27 957	27 894
სულ მიმდინარე ვალდებულებები		596 207	557 204
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		40 129 408	84 901 884

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს
შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	36 105 996	54 378 974
სხვა არამატერიალური აქტივები		78 255	74 255
გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ		-	29 515 010
სულ გრძელვადიანი აქტივები		36 184 251	83 968 239
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		263 651	654 940
მოკლევადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ		122 799	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	53 461	53 881
ფული და ფულის ექვივალენტები	4	3 505 246	224 824
სულ მიმდინარე აქტივები		3 945 157	933 645
სულ აქტივები		40 129 408	84 901 884
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		107 920 390	97 402 877
საწესდებო კაპიტალის შეუვსებელი წილი		(33 549 718)	
დაუფარავი ზარალი		(34 837 471)	(13 058 197)
სულ კაპიტალი		39 533 201	84 344 680
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	478 962	456 347
საგადასახადო ვალდებულებები		89 288	72 964
სესხები		27 957	27 894
სულ მიმდინარე ვალდებულებები		596 207	557 204
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		40 129 408	84 901 884

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს
შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:



მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები	8	7 898 764	6 457 425
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(5 280 463)	(1 376 555)
საერთო მოგება		2 618 301	5 080 869
მიწოდების ხარჯი		(76 123)	(120 258)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	10	(7 130 060)	(8 968 954)
მოთხოვნების გაუფასურება		(5 147)	-
ფინანსური შემოსავალი		13 707	8 740
არასაკონფორმაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		(49 583)	(474 718)
მარაგების ჩამოწერა		(218 636)	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		(16 627 159)	-
საკუროს შემოსავალი/ზარალი		(539 036)	(174 633)
მოგება დაბეგვრამდე		(22 013 737)	(4 648 954)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(22 013 737)	(4 648 954)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს
შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:

შპს „ხედი“

2024 წლის მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები	8	7 898 764	6 457 425
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(5 280 463)	(1 376 555)
საერთო მოგება		2 618 301	5 080 869
მიწოდების ხარჯი		(76 123)	(120 258)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	10	(7 130 060)	(8 968 954)
მოთხოვნების გაუფასურება		(5 147)	-
ფინანსური შემოსავალი		13 707	8 740
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		(49 583)	(474 718)
მარაგების ჩამოწერა		(218 636)	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		(16 627 159)	-
საკუროსო შემოსავალი/ზარალი		(539 036)	(174 633)
მოგება დაბეგვრამდე		(22 013 737)	(4 648 954)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(22 013 737)	(4 648 954)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:




ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სასტუმროს მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3 641 115	772 486
სარესტორნო მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5 406 703	4 650 038
შემენილ პროდუქტებში გადახდილი თანხები	(3 989 261)	(4 134 287)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4 394 328)	(2 562 652)
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(2 716 490)	(1 445 117)
საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები	(198 992)	(112 912)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(204 877)	(29 798)
სხვა მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	6 774
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2 456 131)	(855 468)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	13 707	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(96 659)	(37 160)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები	(4 720)	(2 543)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(87 673)	(39 703)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
სასესხო ვალდებულებების დასაფარად გადახდილი თანხები	-	(15 000)
მიღებული სესხები	-	41 210
კაპიტალის შევსება	6 002 134	626 971
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	6 002 134	653 181
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(177 908)	(32 252)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	3 280 422	(274 242)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	224 824	499 066
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	3 505 246	224 824

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სასტუმროს მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3 641 115	772 486
სარესტორნო მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5 406 703	4 650 038
შემენილ პროდუქტებში გადახდილი თანხები	(3 989 261)	(4 134 287)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4 394 328)	(2 562 652)
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(2 716 490)	(1 445 117)
საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები	(198 992)	(112 912)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(204 877)	(29 798)
სხვა მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	6 774
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2 456 131)	(855 468)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	13 707	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(96 659)	(37 160)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები	(4 720)	(2 543)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(87 673)	(39 703)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
სასესხო ვალდებულებების დასაფარად გადახდილი თანხები	-	(15 000)
მიღებული სესხები	-	41 210
კაპიტალის შევსება	6 002 134	626 971
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	6 002 134	653 181
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(177 908)	(32 252)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	3 280 422	(274 242)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	224 824	499 066
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	3 505 246	224 824

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:



საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის
(ლარი)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	96 511 611	(9 086 455)	87 425 156
კაპიტალის ზრდა	891 267		891 267
პერიოდის შედეგი		(4 648 954)	(4 648 954)
2023 წლის 31 დეკემბერი	97 402 878	(13 735 409)	83 667 469
პერიოდის შედეგი		(22 013 737)	(22 013 737)
კაპიტალის ზრდა	8 840 972		8 840 972
შეუვსებელი კაპიტალი	(33 549 718)		(33 549 718)
კაპიტალის კორექტირება	1 676 539	-	1 676 539
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება		911 675	911 675
2024 წლის 31 დეკემბერი	74 370 671	(34 837 471)	39 533 200

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს
შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის
(ლარიში)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	96 511 611	(9 086 455)	87 425 156
კაპიტალის ზრდა	891 267		891 267
პერიოდის შედეგი		(4 648 954)	(4 648 954)
2023 წლის 31 დეკემბერი	97 402 878	(13 735 409)	83 667 469
პერიოდის შედეგი		(22 013 737)	(22 013 737)
კაპიტალის ზრდა	8 840 972		8 840 972
შეუვსებელი კაპიტალი	(33 549 718)		(33 549 718)
კაპიტალის კორექტირება	1 676 539	-	1 676 539
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება		911 675	911 675
2024 წლის 31 დეკემბერი	74 370 671	(34 837 471)	39 533 200

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს
შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:



2024 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ხედი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოში 2017 წლის 26 ოქტომბერს. უშუალოდ, კომპლექსის ფუნქციონირება კი დაიწყო 2022 წლის აგვისტოდან. იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, №24. კომპანიის მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 406228149.

კომპანიის მიმდინარე საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - თამაზ ტოგონიძე. მმართველობითი ორგანო კი პარტნიორთა კრებაა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო კომპლექსის და რესტორნის ფუნქციონირება. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენდნენ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მფლობელის წილი
სააქციო საზოგადოება სვეტიცა, 1223300006280, რუსეთის ფედერაცია	70%
ელენე ნიჟარაძე, 01008007304	30%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მფლობელის წილი
სააქციო საზოგადოება სვეტიცა, 1223300006280, რუსეთის ფედერაცია	70%
ელენე ნიჟარაძე, 01008007304	30%

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა სრულად ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს გააჩნია შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებით და რეგულაციებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე

გვერდი 13 | 28

და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობა

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”- ფარგლებში).

ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიას მოეთხოვება წლიური ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი.

უწყვეტი ფუნქციონირება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მიუხედავად იმისა, რომ 2023 და 2024 წლები კომპანიამ დაამთავრა ზარალით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების დაშვება არის შესაფერისი და იგი გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს უარყოფითი გავლენების თავიდან ასაცილებლად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველზე.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიაში ფინანსური აღრიცხვა ხდება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად ფიქსირდება ფუნქციონალურ ვალუტაში, გაცვლითი კურსით, რომელიც ტრანზაქციის დღეს მოქმედებდა.

უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით, ანგარიშგების დღეს.

უცხოური ვალუტით შემოსულობები და ზარალი წლის ბოლოს წარმოქმნილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაფასდება, ხოლო გადაფასება აღიარდება მოცემული წლის არასაოპერაციო მოგება/ზარალში „საკურსო სხვაობის მოგება/ზარალის“ მუხლში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებებითაა შეფასებული.

გვერდი 14 | 28

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარებში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და წარმოდგენის ვალუტა.

უცხოური ვალუტის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ქართულ ლართან მიმართებით იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD	2.8068	2.6894
1 EUR	2.9306	2.9753
100 RUB	2.5405	2.9916

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელთაც აკლდება დაგროვილი ცვეთის თანხა და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარცხები. მიწა ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების თვითღირებულება ასევე მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მათი წინასწარგანზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მათი ლოკაციის ადგილიდან გატანის ხარჯებს და კაპიტალიზებად სესხით სარგებლობის ხარჯებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების სანდოდ და საიმედოდ შეფასება. მიმდინარე რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
მანქანა დანადგარები და ავეჯი	10
კომპიუტერები-ელ აღჭურვილობა	7
დეკორაცია და ინვენტარი	5
სხვა ინვენტარი	7
შენობა ნაგებობა	50

გვერდი 15 | 28

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

ფინანსური ინსტრუმენტები და მათი აღრიცხვა

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივის ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას მეორე კომპანიისთვის ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების, გაუფასურების და აღიარების შეწყვეტის ზოგადი მითითებები წარმოდგენილია ქვემოთ.

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარებას, თუ საწარმო ხდება ამ ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. ინსტრუმენტის აღიარების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური ინსტრუმენტის ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიან ღირებულების აღრიცხვის დროს ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს და ამავედროულად აკმაყოფილებს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების კრიტერიუმებს, ესენია: ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო მოთხოვნები, გაცემულ/მიღებულ სესხ(ებ)ზე არსებული მოთხოვნები/ვალდებულებები, საიჯარო მოთხოვნები/ვალდებულებები, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, საგადასახადო ვალდებულებები.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარებისას კომპანია მათ აფასებს გარიგების ფასით - აღიარებაში ჩაითვლება გარიგების დანახარჯები, ისეთი ფინანსური აქტივისა და ვალდებულების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას შეაფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულ იქნება მსგავსი სავალსე ინსტრუმენტებისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთები და ეს განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ფინანსური ინსტრუმენტები უნდა შეაფასოს გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ინსტრუმენტის გაყიდვისას, ან სხვა ფორმით გასვლისას. ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურებისა რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

გვერდი 16 | 28

- ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს: კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან გადახდისუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორიცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსული გამოცდილება გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუარესება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია,
- კომპანია ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას.
- თუ კომპანია იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკის და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არა დაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის ცალმხრივად გამოყენება და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შუღლუძვების დაწესების აუცილებლობის გარეშე - ამ შემთხვევაში საწარმომ უნდა: შეწყვიტოს აქტივის აღიარება და ცალ-ცალკე აღიაროს ყველა უფლება და ვალდებულება რომელიც მას რჩება ან წარმოიშობა აქტივის გადაცემისას

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია მოგებაში ან ზარალში აღიარებს დაფარული ან სხვა მხარისთვის გადაცემული ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის სხვაობას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და თანხას მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გვერდი 17 | 28

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებებით. კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნებიდან მისაღები ფულად ნაკადების ალბათობას, ეს ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი, დამოკიდებულია კლიენტის მნიშვნელოვან სირთულეებზე, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციაზე, ან კლიენტის გადახდისუნარიობა იმის მაჩვენებელია, რომ მოთხოვნა პოტენციურად დაუფარავი დარჩება და გაუფასურდება.

სასესხო მოთხოვნა

სასესხო მოთხოვნებიც, მსგავსდა სავაჭრო მოთხოვნებისა, თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაუფასურების გამოკლებით.

საიჯარო ხარჯები

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის დაწყების თარიღში. თავდაპირველად, საიჯარო ვალდებულებების შეფასება ხდება მომავალი საიჯარო გადასახადები მიმდინარე ღირებულებით, რაც განისაზღვრება საიჯარო გადასახადები დისკონტირებით. დისკონტირება ხორციელდება ზღვრული სასესხო განაკვეთით. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადასახადებს, გამოკლებული საპროცენტო ხარჯი, ცვლადი ხარჯის გადასახადები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, თანხებს რომლებიც უნდა გადაიხადოს ნარჩენი ღირებულების გარანტიით. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში. რომელშიც ისინი წარმოიქმნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდებს, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების ან ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივებისა ან ვალდებულებების აღიარება. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადასახადებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან: აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება, წარმომადგენლობითი ხარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის (ოფშორი) მქონე იურისდიქციებში, ასევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი (შემდგომში დღგ) საგადასახადო ორგანოსთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. რომელიც უფრო ადრე მოხდება: ა) ავანსის მღება კლიენტებისგან, (სათანადო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელიც განსაზღვრულია ფინანსთა მინისტრის ბრძანების 996 ინსტრუქციით მუხლი 481-ს მე-2 ქვეპუნქტით). ან ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტისთვის. გადასახდელი დღგ მცირდება ჩათვლილი დღგ-ის თანხით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე.

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება მთლიანი ხელფასიდან და მასთან დაკავშირებული შეღავათებიდან, რომლებიც თანამშრომლებზე გაიცემა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გადასახადი ხარჯების ანგარიშგებაში შედის. როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი და მასთან დაკავშირებული შეღავათები.

სხვა გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა კომპანიის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციებისგან, კომპანიის ეს ინტერპრეტაცია შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები ან პროცენტები. ეს გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელი მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლებიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომში თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: შეძენა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების შეძენის დანახარჯი მოიცავს: მისი შეძენის ფასს, (საიმპორტო და საბაჟო გადასახადს არსებობის შემთხვევაში) და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადოს მიერ უკან დაბრუნებადი გადასახადებისა), სატრანსპორტო, დატვირთვა გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებს და მომსახურების შეძენასთან. თუ მივიღებთ სავაჭრო ფასდათმობას ან სხვა სახის ფასდათმობას არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

გვერდი 19 | 28

მარაგის წარმოების (გადამუშავების) თვითღირებულება მოიცავს: ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ ხარჯებს. წარმოებული (გადამუშავებული) მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილი გასაყიდი ფასით, შემცირებული რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგის ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან აღილი აქვს დანაკარგს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ღივიდენდები

ღივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. ღივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება, შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

როდესაც კომპანია აქციონერებზე გასცემს ღივიდენდებს, მას მოეთხოვება საგადასახადოს გადაუხადოს შესაბამისი ღივიდენდის გადასახადი აქციონერთა სახელით. საგადასახადო ორგანოსთვის გადახდილი ან გადასახდელი ამგვარი თანხა აისახება საკუთარ კაპიტალში, როგორც ღივიდენდის ნაწილი.

შემოსავლის აღიარება

კომპანია შემოსავლის აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურებას რეალური ღირებულებით. ამ მიღებული ან მისაღები ანაზღაურებიდან გამოიქვითება საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე აღრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები. კომპანიის შემოსავლებში ჩაირთვება მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხები.

საქონლის გაყიდვა

საქონელი გაყიდულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველს გადაეცემა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი. კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტური კონტროლს არ ახორციელებს.

ანარიცხები

ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საქონლის / მომსახურების რეალიზაცია

რეალიზაცია აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი/მომსახურება მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3.1 შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს.

შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და შემდგომ პერიოდებში, როდესაც ასეთ ცვლილებებს ექნებათ გავლენა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, არის:

- **დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება**

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მთითოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. მსჯელობა გამოიყენება იმისათვის, რომ დადგინდეს, ოპერაციების ფასები განისაზღვრება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. მსჯელობა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. განსჯის საფუძველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია, რაც კომპანიის მიერ გამოვლინდა საქართველოში მსგავსი ტიპის სესხების საბაზრო პირობების საფუძველზე.

გვერდი 21 | 28

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი.

4. ფული და ფულის ეკვივალენტი

	31.12.2024	31.12.2023
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 514 290	36 717
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	977 675	123 930
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	13 281	64 177
	3 505 246	224 824

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და ინვენტარი	მცირეფასიანი ინვენტარი	სხვა	სულ
31.დეკ.22		53 585 177	1 836 948	7 546 742	1 038 723	2 330		64 009 920
შეძენა	31	6 082		914	10 370	19 794		37 191
გასვლა				-165 973				-165 973
31.დეკ.23		53 585 208	1 843 030	7 381 683	1 049 093	22 124	-	63 881 138
შეძენა						72 790		72 790
წინა პერიოდის შეცდომების გასწორება							454 964	454 964
გაუფასურება		-21 052 969						-21 052 969
რეკლასიფიკაცია	2 676 239	-2 676 239	8 955	-2 074 403	1 678 225	842 186	-454 964	-
გასვლა				-134 388	-178 239	-108 592		-421 219
31.დეკ.24	2 676 239	29 855 969	1 851 985	5 172 892	2 549 079	828 508	-	42 934 703
დაგროვილი ცვეთა:								
31.დეკ.22		-4 197 608	-526 716	-2 036 241	-580 923			-7 341 488
დარიცხული ცვეთა		-1 574 623	-288 266	-1 007 019	-120 209			-2 990 117
ცვეთის გადაანგარიშება		677 180						677 180
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა				152 261				152 261
31.დეკ.23		-5 095 051	-814 982	-2 890 999	-701 132	-	-	-9 502 164
დარიცხული ცვეთა		-706 339	-185 198	-773 306	-277 981	-147 885		-2 090 709
წინა პერიოდის ცვეთის კორექტირება		915 849	21 374	156 993	-268 166	-487 694		338 356
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა		4 425 809						4 425 809
31.დეკ.24		-459 701	-978 806	-3 507 312	-1 247 279	-635 579	-	-6 828 708
ნარჩენი ღირებულება:								
31.დეკ.22	-	49 387 569	1 310 232	5 510 501	457 800	2 330	-	56 668 432
31.დეკ.23	-	48 490 157	1 028 048	4 490 684	347 961	22 124	-	54 378 974
31.დეკ.24	2 676 239	29 396 268	873 179	1 665 580	1 301 800	192 929	-	36 105 995

კომპანიამ 2024 წელს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე მოახდინა მის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების ღირებულების კორექტირება.

გვერდი 23 | 28

10-24 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	54 362	50 240
საექვო ვალების ანარიცხები	-5 147	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	4 246	3 641
	53 461	53 881

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 31.12.2024
მიმდინარე			
0- 90 დღით ვადაგადაცილებული	47 952	0%	-
91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	382	10%	38
181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	1 839	50%	920
360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	4 189	100%	4 189
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	54 362		5 147
გაუფასურების რეზერვი	(5 147)		
წმინდა მოთხოვნები	49 215		

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
გადასახდელი ხელფასები	260 944	184 657
სავაჭრო ვალდებულებები	153 345	227 511
გადასახდელი საპენსიო ვალდებულება	37 401	24 433
მიღებული ავანსები	16 804	-
ფიზიკური პირები	5 141	10 905
არარეზიდენტი პირები	5 326	8 841
	478 962	456 347

8. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	4 510 561	2 385 608
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	3 399 541	4 073 478
რეალიზებული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	-11 338	-1 661
ჯამი	7 898 764	6 457 425

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა სარგებელი	3 635 660	-
ძირითადი მასალის დანახარჯები	1 644 802	1 376 555
სულ	5 280 463	1 376 555

10. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

	31.12.2024	31.12.2023
შრომითი ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა სარგებელი	1 983 967	3 312 587
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1 995 527	1 588 030
ძირითადი საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	2 090 709	2 990 118
ქონების გადასახადის ხარჯი	458 788	497 620
ბანკის საკომისიოს ხარჯი	152 698	118 997
სამეურნეო ხარჯი	111 973	93 851
საპენსიო ხარჯი	110 873	62 598
სპეც. ტანსაცმლის ხარჯი	110 961	1 874
რემონტის ხარჯი	40 756	33 867
კომუნიკაციის ხარჯი	28 795	28 287
საკონსულტაციო ხარჯი	19 588	197 038
საკანცელარიო ხარჯები	11 940	11 358
დაზღვევის ხარჯი	10 969	10 548
კომუნალური ხარჯი	2 178	833
საოფისე ხარჯი	340	2 211
შენობა-მოწყობილობების მენახვა-მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	-	19 136
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	7 130 060	8 968 954

11. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ, იურიდიულ ფორმას.

	2024 წელი	2023 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	262 092	91 224
მოკლევადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	122 800	-
	384 892	91 224

გვერდი 25 | 28

10-24 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

12. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ვალდებულებები

(ლარი)	ფინანსური ვალდებულებები	სავაჭრო ვალდებულებები	სულ
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	27 894	456 347	484 241
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	27 957	478 962	506 919

ფინანსური აქტივები

(ლარი)	ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	სავაჭრო მოთხოვნები	სულ
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	224 824	53 881	278 705
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	3 505 246	53 461	3 558 707

13. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებსა და ვალდებულებებს. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

2024			
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო
ლარში ნომინირებული	3 945 157	596 207	3 348 951
ჯამი	3 945 157	596 207	3 348 951
2023			
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო
ლარში ნომინირებული	933 645	557 204	376 441
ჯამი	933 645	557 204	376 441

14. საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფული და ფულის ექვივალენტები	3 505 246	224 824
მოკლევადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	122 800	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	53 461	53 881
გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	-	29 515 010
სულ საკრედიტო რისკი	3 681 507	29 793 715

15. სავალუტო რისკი

2024				2023		
მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია		მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია
აშშ დოლარი	2 637 090	-	2 637 090	29 551 727	-	29 551 727
ჯამი	2 637 090	-	2 637 090	29 551 727	-	29 551 727

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონიერულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	2024	2023
ვალუტის გამყარება 20%-ით	-527 418	-5 910 345
ვალუტის გაუფასურება 20%-ით	527 418	5 910 345

16. სასამართლო დავები

კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავები. რაც შეეხება მოსალოდნელ სასამართლო დავებს, მსგავსი სამართლებრივი რისკის მატარებელი საკითხი ხელმძღვანელობის აზრით არ იკვეთება.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წელს კომპანიის 30% წილის მფლობელმა ელენე ნიჭარაძემ გაასხვისა მისი კუთვნილი წილი, რომელიც შეიძინა 70% წილის მფლობელმა სს „სვეტიცა“-მ.

2025 წლის აპრილიდან კომპლექსის მმართველი კომპანია „გინზა პროექტ ჯორჯია“ აღარ მართავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასტუმროსა და რესტორანს.

2025 წელს დამფუძნებელმა შეამცირა საწესდებო კაპიტალი.

სხვა მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხედი“

მმართველობითი ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ხედი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2017 წლის 26 ოქტომბერს. იგი რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 406228149. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, №24.

კომპანიის წილის 70%-ის მფლობელი არის რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული კომპანია სს „სვეტლიცა“ (1223300006280, 3340000726), ხოლო 30%-ის მფლობელი საქართველოს მოქალაქე ელენე ნიჟარაძე (პ/ნ:01008007304). კომპანიის გენერალური დირექტორია თამაზ ტოგონიძე (პ/ნ 01019061398).

შპს „ხედის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების გაწევას მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში. კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2022 წლის სექტემბერში. 2023 და 2024 წლებში კომპანიის შემოსავლები შემდეგნაირად იყო განაწილებული:

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან	4 510 561	2 385 608
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	3 399 541	4 073 478
რეალიზებული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	-11 338	-1 661
ჯამი	7 898 764	6 457 425

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

2025 წელს კომპანია ძირითადად ორიენტირებული იქნება გაყიდვების გაზრდაზე და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. საქმიანობის ხასიათის

გათვალისწინებით, ზოგადი ზრდის გარდა არ არსებობს განვითარების სხვა კონკრეტული გეგმები.

კომპანიის ძირითადი მიზანია დროული და მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა, რისთვისაც იყენებს მაღალკვალიფიციურ მუშა ხელს და თანამედროვე ტექნიკას. მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- პასუხისმგებლობა - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორ კლიენტების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- კეთილსინდისიერება - კეთილსინდისიერად ვემსახუროთ თითოეულ კლიენტს;
- პროფესიონალიზმი - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და კლიენტებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- გუნდური სულისკვეთება - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანია საქმიანობის საწყის წლებში ზარალიანია. ამასთან გაიზარდა ამონაგები და ხდება ხარჯების ოპტიმიზაცია, რომლის საბოლოო მიზანია 2025 წელს დადებით საოპერაციო მაჩვენებლებზე გასვლა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპანიის ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომელი.

ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა
- თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე. სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს შემუშავებულ საბონუსე სისტემას;

რისკების მართვა

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი.

კომპანიის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სასტუმროს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები სასტუმროს ძირითად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და ტექნიკით.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. სავალუტო რისკი განისაზღვრება,

როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

რისკების ფინანსური მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება

ლიკვიდურობის რისკი

2024			
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო
ლარში ნომინირებული	3 945 157	596 207	3 348 951
ჯამი	3 945 157	596 207	3 348 951

2023			
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო
ლარში ნომინირებული	933 645	557 204	376 441
ჯამი	933 645	557 204	376 441

საკრედიტო რისკი

	31.12.2024	31.12.2023
ფული და ფულის ექვივალენტები	3 505 246	224 824
მოკლევადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	122 800	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	53 461	53 881
გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	-	29 515 010
სულ საკრედიტო რისკი	3 681 507	29 793 715

სავალუტო რისკი

2024				2023		
მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა	სავალუტო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია
აშშ დოლარი	2 637 090	-	2 637 090	29 551 727	-	29 551 727
ჯამი	2 637 090	-	2 637 090	29 551 727	-	29 551 727

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს და მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ვნახულობთ, რომ კომპანიის ფინანსური შედეგი წინა წელთან შედარებით უმჯობესდება, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, რომ კომპანია არ კარგავს ფუნქციონარობის პრინციპს და დაუბრკოლებლად აგრძელებს საქმიანობას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „ხედი“-ს დირექტორი

თამაზ ტოგონიძე

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს და მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ვნახულობთ, რომ კომპანიის ფინანსური შედეგი წინა წელთან შედარებით უმჯობესდება, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, რომ კომპანია არ კარგავს ფუნქციონარობის პრინციპს და დაუბრკოლებლად აგრძელებს საქმიანობას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „ხედი“-ს დირექტორი

თამაზ ტოგონიძე





აუდიტ - არტი

შპს „აუდიტ-არტი“ / „Audit-Art“ LTD

41, Vazha-Pshavela Ave, Tbilisi, Georgia. Identification # 404962670

Tel.: +995 599 51 68 19; +995 322 39 33 49.

E-mail: Artmeladze@yahoo.com

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ხედი“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ხედი“-ს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მართვლობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ხედი“-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს აუდიტ-არტი

ზურაბ ართმელაძე
2025 წელი, თბილისი, საქართველო





შპს „აუდიტ-არტი“ / „Audit-Art“ LTD

41, Vazha-Pshavela Ave, Tbilisi, Georgia. Identification # 404962670

Tel.: +995 599 51 68 19; +995 322 39 33 49.

E-mail: Artmeladze@yahoo.com

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ხედი“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ხედი“-ს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „ხედი“-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარგმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს აუდიტ-არტი

ზურაბ ართმელაძე

2025 წელი, თბილისი, საქართველო